# ბორჯომი

20 იანვარი
ხუთშაბათი
2022 წელი
№3 (9213)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პარამეტრები

**2021 წლის 24 დეკემბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულმა საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის განვითარების ბიუჯეტი**

**საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.**

**საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.**

**საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.**

**(გაგრძელება მესამე გვერდზე)**

## აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე!

**საქართველოს** სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებზე დროშებია გამოფენილი.

14 იანვარს საქართველოს სახელმწიფო დროშის დღესთან დაკავშირებით ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით მოეწყო აქცია. ახალგაზრდებმა მოქალაქეებს დროშები და საინფორმაციო ფურცლები გადასცეს, სადაც დატანილია ხუთჯვრიანი დროშის ისტორია.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ ისაუბრა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ნაირა ამანათაშვილმა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეკრებილებს გააცნეს ინფორმაცია ადრეული და თანამედროვე ქართული დროშების შესახებ.

## მუდმივმოქმედი კომისიების სხდომა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ **მამუკა ლურსმანაშვილმა** კომისიის სხდომა გამართა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მოადგილე **ნიკოლოზ კიკნაძე** და ამავე კომისიის წევრები.

კომისიის სხდომაზე დამტკიცდა იანვრის სამუშაო გეგმა-გრაფიკი. საკრებულოს დეპუტატები ადგილზე გაეცნობიან ა(ა)იპ სასპორტო სკოლის, შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის, ცენტრალური ისტორიული პარკის და შპს „ბორჯომი 2013“ საფეხბურთო კლუბში არსებულ მდგომარეობას.

## წაღვერში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა

**ბორჯომის** მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** მოსახლეობას გააცნო კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების 200-ლარიანი პროგრამა, რომელიც გრძელდება 2022 წლის იანვარში. წახალისების პროგრამით სარგებლობა ახლა უკვე 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ. კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზის ჩატარების შემდეგ 200-ლარიანი ერთჯერადი დანამატი ავტომატურად ჩაერიცხება ვაქცინირებულ პირს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი აცრის მსურველებს სამედიცინო ცენტრამდე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფს.

ავიცრათ ერთმანეთისთვის!

**წაღვერში,** კულტურის სახლის ღია სცენაზე კულტურული ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ წაღვერის კულტურის სახლითან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ასევე სოლო შემსრულებლები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი **ეკა ორჯონიკიძე** და კულტურის განყოფილების უფროსი **მარინა ხუჯაძე.**

## გზები თოვლისაგან იწმინდება

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში, დილიდან აქტიურად მიმდინარეობს საავტომობილო გზებზე გაწმენდითი სამუშაოები და იყრება ტექნიკური მარილი.

ამჟამად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი გზა გაწმენდილია მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების გზებზე თოვლის საფარისგან გაწმენდის სამუშაოები.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა გუბერნატორებთან

**სამუშაო** შეხვედრაზე მთავრობის მეთაურმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** გუბერნატორებთან რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილა და ხაზი გაუსვა შესაბამისი სამუშაოების მოკლე ვადებში განხორციელების აუცილებლობას. პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას და ამ პროცესში გუბერნატორების როლი გადამწყვეტია.

შეხვედრისას, თითოეული რეგიონის მიხედვით დეტალურად განიხილეს არსებული პროექტები, მათ შორის პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები, ასევე - იმსჯელეს საჭიროებებზე, როგორიცაა ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ხარისხიანი წყალმომარაგება თუ შიდა გზების მოწესრიგება. ხაზი გაესვა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური კოორდინაციის აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებას.

ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო რწმუნებულებს დაავალა, მაქსიმალური კომუნიკაცია ჰქონდეთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეგიონის მოსახლეობის საჭიროებების უმოკლეს ვადებში გადაჭრა.

## იანვრიდან პენსია გაიზარდა

**2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, იანვრიდან ასაკობრივი პენსია გაიზარდა.**

ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მიხედვით, 2022 წელს საპენსიო უზრუნველყოფისთვის დაიხარჯება 2.885 მილიარდი ლარი (წინა წლებთან შედარებით გაზრდილია 285.0 მლნ ლარით), რაც **გამოწვეულია მათ შორის, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით, კერძოდ, არსებული გეგმის მიხედვით, 2022 წლის იანვრიდან 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის გასაცემელი თანხა 20 ლარით, 260 ლარამდე გაიზარდა.**

ამავე კანონის მიხედვით, 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის პენსიამ 25 ლარით მოიმატა და 2022 წლის **იანვრიდან 300 ლარით განისაზღვრა.**

რაც შეეხება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ პენსიონერებს, პენსიის მოცულობა 70 წლამდე ასაკის პირთათვის გახდა 312 ლარი, ხოლო **70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის - 360 ლარი.**

საინტერესოა, რას ფიქრობენ ბორჯომში მცხოვრები პენსიონერები გაზრდილ პენსიებთან დაკავშირებით:

**ელენა 61 წლის: -** ყოველთვიურად მჭირდება კარდიოლოგისა და ენდოკრინოლოგის მიერ დანიშნული მედიკამენტები. სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ მე ვარ პენსიონერი ოჯახში და ფაქტიურად, ჩემი პენსია მედიკამენტებზე და კომუნალურ გადასახადებზე მყოფნის მხოლოდ. ამ თანხაში საკვები ნამდვილად არ შედის და რა თქმა უნდა არც ეს 20 ლარიანი მატება დიდი შეღავათი არ არის პენსიონერისთვის.

**უჩა 71 წლის: -** პენსიის მომატებას ვერ ვგრძნობ, იმის გამო, რომ პროდუქტების ფასი საკმაოდ გაზრდილია. საჯარო მოხელეებს საკუთარ ხელფასებზე 10 მოემატათ და ჩვენ 25 ლარი მოგვიგდეს ფაქტიურად. 25-ის ნაცვლად რომ 50 ლარი ყოფილიყო უკეთესი იქნებოდა.

**თამარი 72 წლის: -** იანვრიდან 300 ლარი გახდა ჩემი პენსია. როგორც ჩემი ხნის ადამიანების უმრავლესობას, მეც მაწუხებს მთელი რიგი დაავადებები, წნევა, გული, სახსრების ანთება. ყველა პენსიონერის მსგავსად ჩემი პენსიაც მარტო წამლებში მიდის. 1 ლიტრი ზეთი შეიძლება ერთი კვირა არ გეყოს. პური, მაკარონი, ხილი და ბოსტნეულიც გვჭირდება. კომუნალურებზეც ძლივს მყოფნის.

**ზაური 67 წლის: -** იანვარში პენსია უკვე დამერიცხა და 260 ლარი ავიღე. სამწუხაროდ, ყველაფერი გაძვირდა და ყველა ადამინის მსაგავსად ყველა პენსიონერი და მეც მათ შორის ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება ხელმომჭირნედ ვიცხოვროთ. ბევრ რამეს ვიკლებთ. განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

**ნუგზარი 71 წლის: -** სიმართლე გითხრათ, 30 თეთრიანი კომბოსტო კილოგრამი რომ 2 ლარი გახდება, 25 ლარით პენსიის მომატებას ნამდვილად ვერ ვგრძნობ. ცალკე კომუნალურებია მომატებული და 25 ლარით მოიმატებს თუ 40 ლარით ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავ.

**ნინო 72 წლის: -** მე ოპტიმისტური ადამიანი ვარ. ჩემთვის მიუღებელია წუწუნი.ამიტომაც, ყველანაირ მატებას გონივრულად ვიყენებ, სასიამოვნოა, როდესაც მთავრობა პენსიონერების მიმართ ყურადღებას იჩენს.

**გამოიკითხა ნატო მელიქიძემ**

## საყრდენი კედლების მშენებლობა დასრულდა

**ბორჯომში,** თორის ქუჩაზე №36-40-ში, 36მ სიგრძის და 6მ სიმაღლის რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის რეაბილიტაცია დასრულდა.

საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. პროექტის ღირებულება 247 918 ლარს შეადგენს.

თორის ქუჩაზე საყრდენი კედლის დაზიანება მოსახლეობისთვის გარკვეულ პრობლემას ქმნიდა. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეების ცხოვრება იყოს უსაფრთხო და კომფორტული.

## შიმბულაკის დელეგაცია ბაკურიანში

**ბაკურიანს** ოფიციალური ვიზიტით კურორტ შიმბულაკის დელეგაცია ესტუმრა.

ვიზიტის ფარგლებში, მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და კურორტ შიმბულაკის წარმომადგენლებმა მიმოიხილეს და გამოცდილება გაუზიარეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: **საბაგიროების ექსპლუატაცია; სათხილამურო გზების მომზადება; ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მართვა; რთული ტრასების დაგეგმვა; სამაშველო ოპერაციების განხორციელება; საზვავე უსაფრთხოება და ტრასების მარკირება.**

ვიზიტი მთის კურორტების განვითარების კომპანიასა და კურორტ შიმბულაკს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა.

# სიბრძნით დაუნჯებული საშობაო ეპისტოლე

ტრადიციისამებრ შობა დღეს, 7 იანვარს, სამების ტაძრიდან ტელევიზიებით გადაიცა, ხოლო შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა **სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე, რომელიც არის თავისებური ზნეობრივი კოდექსი ყველა ჩვენგანისათვის.**

როგორც მასშია აღნიშნული: - 2022 წლის წინ იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის ერთ მიტოვებულ, პირუტყვის თავშესაფრად გამოყენებულ გამოქვაბულში მოხდა სასწაული - იშვა ძე ღმერთი იესო ქრისტე; ღმერთი განკაცდა. ეს იყო უდიდესი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან ამ ქვეყანას მოევლინა „ნათელი სოფლისა"... (მკითხველს შევახსენებ, რომ ბიბლიის თანახმად, ქართველი ერი დავით მეფის (წინასწარმეტყველის) შთამომავლები ვართ! უ.ჯ).



„გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ინტერნეტმა მოიცვა მსოფლიო, ახალი ერა დაიწყო. ტექნიკის სფეროში, თანამედროვე სამყაროში, ახლა უკვე საოცარი პროგრესია მიღწეული, თუმცა თავი იჩინა ფრიად სერიოზულმა გამოწვევებმა. **„სიცოცხლე ან სიკვდილი", - ამ არჩევანის წინაშე აღმოჩნდა დღეს ადამის მთელი მოდგმა. „აირჩიე სიცოცხლე" - მოგვიწოდებს მოციქული - ვკითხულობთ ეპისტოლეში. მაგრამ სიცოცხლეცაა და სიცოცხლეც!**

უზნეო კაცი სულიერად მკვდარია. ამიტომ, „ყოვლად აუცილებელია თითოეულ **ჩვენგანში** მოხდეს პიროვნული შეხვედრა ღმერთთან", ანუ უფლის მცნებების დაცვით ცხოვრება.

„ღმერთთან მიახლებაში მხოლოდ განსწავლულობა და მეცნიერული პროგრესი ვერ დაგვეხმარება, აუცილებელია სულიერი სიწმინდის მოპოვება, რადგან ღმერთი სულია"...

**სულის თვისებებია: განსჯა, ნებელობა, სიყვარული, შემოქმედებითი უნარი, სირცხვილის, მორიდების, თავმდაბლობის გრძნობა; სიმართლისმოყვარეობა, მოწყალება, სინანული, სიბრალული, სიხარული... ისინი ღვთივბოძებული ნიჭებია, რომლებიც ჩვენს შინაგან ადამიანს ქმნი**ს.

ცოდვებით შებღალული, უფლის ნათელს მოკლებული სულის თვისებები კი არის: ამპარტავნება, შური, კადნიერება, ღვარძლი, უსამართლობა...

ამ უნარებს სული ჩვენს გულსა და გონებაში ავლენს, ეს, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ანატომიური გული და ტვინი, მაგრამ სწორედ მათში ხორციელდება ჩვენთვის გაუცნობიერებელი კავშირი სულთან და ძირითადად აქ იყრის თავს ჩვენი შინაგანი განცდები.

რაც თვალია სხეულისთვის, ისაა გონება სულისათვის. გონებისგან მომდინარეობს აზროვნებისა და განსჯის შესაძლებლობა, გულში კი მგრძნობელობა ვლინდება. უმნიშვნელოვანესია გონებისა და გულის გაერთიანება., „გონების ჩასვლა გულში" და გონების მიერ მისი წარმართვა. ასეთი გული არის გული გონიერი. იგი საშუალებას არ აძლევს უკეთურ ფიქრებს შემოიჭრან და ცოდვად იქცნენ; არამედ ფხიზელი გონებით უკუაგდებს მათ და არ შეიწყნარებს. ამგვარი გული და გონება მიმართულია უფლისაკენ და ჩვენი სწორი ცხოვრების ცენტრი ხდება". - აღნიშნულია ეპისტოლეში.

წმინდა მამები წერდნენ: ძირითადად **ოთხი რამ იცავს სულს: ქველმოქმედება, ურისხველობა, ჭირთა დათმენა, წყენის დავიწყება.**

ჩვენს მიწიერ ყოფაში დაცემაც და წამოდგომაც, წარმატებაც და წარუმატებლობაც მონაცვლეობენ. და „თუ ბოროტების, მტრობის, შურის, ღალატის მსხვერპლნი გახდით, **გული არ გაიტეხოთ"** - პანდემიის გამოც „არ შეშინდეთო", მას აუცილებლად დავძლევთო. „მთავარია სულიერი სიკვდილის, მარადიული ტანჯვის მსხვერპლნი არ გავხდეთ".

**„იცხოვრეთ ერთმანეთისთვის და სამშობლოსათვის!" - ხაზგასმულია ეპისტოლეში.**

ამავე დროს, ეპისტოლეში აღნიშნულია ისიც, რომ: „ძნელია ასეთ დიდ სივრცეში იმოქმედო და შეცდომები არ დაუშვა. **ჩვენი ეგოისტური „მე" ხომ მუდმივად უძებნის გამართლებას ჩვენს ცოდვებს, არასწორ საქციელს...** ამიტომ უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის გარედან შეხედვა, სხვისი თვალით შეფასება და ობიექტური განსჯა. მაშინ უკვე ღვთის შეწევნით, **სინანულით,** აღსარებითა და ზიარებით ყველაფრის გამოსწორებაა შესაძლებელი".

დღეს, როცა ქართული პოლიტიკური სპექტრი ასე პოლარიზებულია, ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია პატრიარქის ეს მოწოდება. **მასში ყველამ (როგორც ცალკეულმა ადამიანებმა, ასევე პარტიებმა) თავისი თავი უნდა „იცნოს", ყველამ მოინანიოს მოსანანიებელი და ღვთაებრივ გზას დაადგეს.** ეს იქნება სიმშვიდისა და დაწყნარების მთავარი გზა და პირობა, როგორც ყველა ჩვენგანის სულში, ასევე მთლიანად საქართველოში!

პატრიარქმა თავის ეპისტოლეში ჩამოთვალა საქართველოში მცხოვრები ძირითადი ერები და ეროვნებები და მოუწოდა მათ, რომ იხარებდნენ ქრისტეს შობით და სასოებით მიმართა მათ: **„აირჩიე სიცოცხლე, აირჩიე ნეტარი მარადიულობა"!**

**უჩა ჯანგირაშვილი**

## გულწრფელად გვიყვარს თუ არა ბორჯომი?!

**სოციალურ ქსელში ხშირად ქვეყნდება მეტად სახასიათო რუბრიკა - „მე მიყვარს ბორჯომი!" ამ მომხიბვლელი და პატრიოტული სათაურის ქვეშ ავტორები გვთავაზობენ ბორჯომის ხეობის მომაჯადოებელ პეიზაჟებს, კურორტ-ქალაქის თვალწარმტაც ხედებს, რასაც გამზიარებელთა აღფრთოვანება, მოწონება და მაღალი შეფასება ახლავს. ჩემი აზრით, ამ რუბრიკის შეფასებები მისაღები და მოსაწონია. ობიექტურად ვაფასებ ბორჯომელთა ერთი ნაწილის სიყვარულს და პატივისცემას მშობლიური კუთხისადმი, თუმცა ზოგიერთი შეფასებები ზედაპირული, პათეტიკური და მოჩვენებითია. უამრავ ადამიანს ვიცნობ, ვინც არა მარტო სიტყვით, არამედ კონკრეტული საქმის კეთებით გამორჩეულია ბორჯომისადმი, რაც მეტად საამაყო და მისაბაძია.**

**სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით თანამოქალაქეთა მხრიდან მშობლიური ქალაქისადმი უდიერ, უსულგულო დამოკიდებულებას, რაც ერთის მხრივ უზნეო და უპასუხისმგებლო ადამიანების დაბალ შეგნებაზე და კულტურაზე მიგვანიშნებს.**

## [illegible]

**არაერთხელ** დაგვიწერია და გვითქვამს, მშობლიურ ქალაქს თუ სოფელს ისე უნდა ვუფრთხილდებოდეთ, როგორც საკუთარ ოჯახს. მხოლოდ ამ ჭეშმარიტების მქონე ადამიანები არიან ნამდვილად ღირსნი, იწოდებოდნენ პატრიოტ პიროვნებებად. **ნათქვამია, შენს ქალაქში და სოფელში საკუთარი ოჯახის ღირსებას იცავ, მაგრამ შენი ქალაქისა თუ სოფლის ფარგლებს გარეთ მშობლიური ქვეყნის და ქალაქის დესპანი ხარო.**

ეს მარტივი, მაგრამ ბრძნული შეგონება ყველას არ ესმის, ან ესმის, მაგრამ მისი შესრულება-დაცვისათვის ბევრი არც ფიქრობს და არც ირჯება.

**ეს რომ ასეა, მრავალი** ფაქტის ჩამოთვლა შეიძლება.

**თუნდაც ის ფაქტი, რომ ქალაქის მრავალსართულიანი სახლების დიდი უმრავლესობის სადარბაზო შესასვლელებს დღემდე კარები არ აქვს. ათეულობით წლებია, ადამიანები რაც ამ სახლებში ცხოვრობენ, საკუთარ ბინებში მოჩუქურთმებული ან რკინის კარებით შედიან და გამოდიან, მაგრამ ბევრ სადარბაზოს კარები საერთოდ არ აქვს, კიბის მოაჯირები კი ისეთ მდგომარეობაშია, იქ შესვლაც და კიბეზე ასვლაც შეგეზარებათ. ახლა ვკითხულობ, იმ ადამიანებს, ვისაც ასეთი სადარბაზოების ავლა-ჩამოვლა დღეში რამდენჯერმე უწევს, რატომ არ ფიქრობენ ამ უმსგავსოების მოწესრიგებაზე. ყველა შენობას ჰყავს ამხანაგობა და არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც ამ საკითხებით უნდა იყოს დაკავებული. რას ფიქრობენ ის ხელმძღვანელები.**

ლიკანში, ყოფილი პურკომბინატის სიახლოვეს არსებულ მრავალბინიანი სახლის სარდაფები, სანტექნიკური კვანძების დაზიანების გამო, კარგა ხანია გაივსო წყლით და ფეკალებით. დღემდე იქ სათანადო სამუშაოები არ ჩატარებულა. კი, მაგრამ, ვინ უნდა ფიქრობდეს ამ საკითხის მოგვარებისათვის, თუ არა თვით ამ სახლის მცხოვრებლები?

**შარშან დიდი** სამუშაოები შესრულდა რუსთაველის ქუჩაზე,მტრედის ხიდის წინ არსებული საცხოვრებელი კორპუსების წინ ლამაზი მოაჯირები დამონტაჟდა, რომლებიც საყვავილეებით დამშვენდა. მერე შიგ ყვავილების ჩითილებიც ჩარგეს. ამ ყვავილებს გამწვანების სამსახური უვლის და პერიოდულად კიდეც რწყავს. იქვე კორპუსების წინ არსებული თავისუფალი სივრცე იმდენად უგემოვნოდ გამოიყურება, კაცს გული მოუკვდება. თურმე ამ ტერიტორიებს ზოგიერთი მოსახლე დაპატრონებია, არც თვითონ უვლის ტერიტორიას და არც სხვას აძლევს მოსაწესრიგებლად. ის კი არა, იქვე მოაჯირებში ჩადგმულ ყვავილების ქოთნებს წყალი რომ დაუსხან, ისიც ეზარებათ. ამბობენ, - ეს ჩვენი საქმე არ არისო. ვინც ამ საქმისათვის ფულს იღებს, ნება იბოძოს და კიდეც მოუაროს



და მორწყასო.

**ახალი წლის წინა** დღეებში ბორჯომში და ბაკურიანში დიდი თოვლი მოვიდა. ადამიანებს კი არა, მანქანებსაც გაუჭირდათ გადაადგილება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ საქართველოს მშენებარე ავტობანზე. რაიონებში არსებული მძიმე ტექნიკის მობილიზება გახდა საჭირო საავტომობილო გზების ოპერატიულად გაწმენდისათვის. ხვავრიელ თოვლს არც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის თავკაცები „ელოდნენ", რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქალაქის მოსახლეობას გადაადგილებაში. **ტროტუარები გაუწმენდავი იყო თითქმის ერთი კვირის მანძილზე,** (სხვათა შორის, ტროტუარები დღესაც გასაწმენდია). თვით ქალაქის ცენტრშიც. არადა, სწორედაც ამ ტერიტორიაზეა ჩამწკრივებული ბანკები, აფთიაქები, მაღაზიები. ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებს აზრადაც არ მოსვლიათ, თოვლისგან გაეწმინდათ თავიანთი დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიები, რათა კლიენტებს დაბრკოლების გარეშე შეძლებოდათ ამ ობიექტებში შესვლა.

ერთი კვირის შემდეგ მოსახლეობას მშველელად „ცხრათვალა მზის" ამოსვლა მოევლინა. სითბომ თოვლი და ყინული გაადნო, თორემ რამდენ ადამიანს იმსხვერპლებდა ლიპყინულიანი ტროტუარები?

**30 წელია, ჩვენმა** ქვეყანამ დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვა. ბევრმა ბორჯომელმა მსოფლიო შემოიარა, ზოგიერთები ახლაც ევროპა-ამერიკაში შრომობენ და ნაცნობ-მეგობრებთან მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ. ემიგრაციაში წასულებმა თითქმის ყველაფერი იციან, თუ რა ხდება ბორჯომში და აქ ჩარჩენილებიც საქმის კურსში არიან, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ხშირად გვესმის ემიგრაციიდან დაბრუნებულების აღფრთოვანებული საუბრები იმის შესახებ, როგორ უვლიან და ზრუნავენ ბერძნები, თურქები, იტალიელები, ამერიკელები, გერმანელები, ფრანგები თუ ინგლისელები თავიანთი მაღაზიების, საკუთარი სახლების თუ ოჯახების მიმდებარე ტერიტორიებს. მრავალ მათგანს საკუთარი თვალით აქვს ნანახი ეს ყოველივე. საოცარია, **თუ ევროპა-ამერიკას ვბაძავთ ყველაფერში და იქთკენაც მივილტვით, ნუთუ მშობლიური ქალაქისა და სოფლის მოვლა-პატრონობაში არ უნდა ვბაძავდეთ მათ.**

სამწუხაროდ, ჩვენ მენტალიტეტი მნიშვნელოვნად დაგვიქვეითდა, მშობლიურისადმი პასუხისმგებლობას და სიყვარულს ვეღარ ვგრძნობთ. მხოლოდ სხვის გაკეთებულ-აშენებულს ვაფასებთ და ვაი, იმას, ვინც ცუდად გააკეთებს ან თავს ვერ გაართმევს დავალებას, დანარჩენები მხოლოდ მკაცრი შემფასებლები ვიქნებით. მკერდში მუშტის ცემას და მოჩვენებით კეთილდღეობის გამოფენას ხომ წინ არაფერი უდგას.

დასკვნის სახით მინდა გულახდილი ვიყო ბორჯომელთა იმ ნაწილის მიმართ, ვისაც ჩირადაც არ უღირს მშობლიური ქალაქის თუ სოფლის ღირსება. დროა, გამოვფხიზლდეთ, მარტო სადღეგრძელოებში და აფელარულად ნუ გვიყვარს ის ქალაქი, რომელმაც გაგვზარდა ან სოფელი, ხომ ვხედავთ, ჩვენს ირგვლივ დრო დიდი სისწრაფით იცვლება, მცონარობის დრო დამთავრდა, არც ინერტულობა გვეკადრება. **ყველამ ერთად და თითოეულმა ცალცალკე ვიზრუნოთ მშობლიური ქალაქის ღირსებისათვის, გვახსოვდეს, წარსულის სიდიადით ცხოვრება სიკეთეს არ მოგვიტანს!**

**ვალერიან ლომიძე.**

## გილოცავთ ახალ წელს!

**საქართველოს ყველა ერს**
**მოგილოცავთ ახალ წელს.**
**ფეხბედნიერს, მშვენიერს.**
**სიცოცხლეს და ჯანმრთელობას**
**მრავალჟამიერ!**
**წელი დადგეს ძლიერი,**
**დოვლათ-ბარაქიანი;**
**ყველა ოჯახში გვენახოს**
**სუფრა ბარაქიანი,**
**საქართველო გვენახოს**
**მთლიანი და ძლიერი.**
**აღარავინ გვყოლოდეს**
**ღარიბი და მშიერი!**
**ვისაც რამე დარდი აქვს,**
**ძველმა წელმა წაიღოს!**
**ახალი წლის სიხარული**
**ყველამ უნდა გაიყოს.**
**და შევკრათ ერთ მუშტად,**
**ერთმანეთი გვიყვარდეს,**
**ერთმანეთის ჭირიც, ლხინიც**
**ვზიდოთ კუბოს ფიცრამდე!**

**ნელი არჯევანიძე**
(86 წლის).

## გაზეთი „ბორჯომი" რაიონის კელაპტარია

**ყოველი** კვირის ხუთშაბათობით გამოდის გაზეთი „ბორჯომი", რომელსაც რაიონის მოსახლეობის 50% ელოდება. და აი, სასიხარულო ცნობაც გამოჩნდა. რესპუბლიკაში კარგად ცნობილმა ელიტარულმა გაზეთმა „საქართველოს ლირიკამ" მოაწყო მოსახლეობის გამოკითხვა ყველაზე რეიტინგული გაზეთის გამოსავლენად. გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ **„ლიტერატურული საქართველო", „ბორჯომი"** და დედოფლისწყაროს **„შირაქი".**

90 წლის მანძილზე გაზეთი „ბორჯომი" კვირაში სამჯერ, მერე - ორჯერ, ახლა კი ერთხელ გამოდის. აშუქებს ჩვენი რაიონის ყოფა-ცხოვრებას.

გადაშლი გაზეთს და **იმედინად სიამაყით, რომ არ გინდა თუნდაც ერთი სტრიქონი დაგრჩეს წაუკითხავი.** ამას ამბობენ ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც, სადაც ღვაწლმოსილი ბიბლიოთეკარები: ნაირა ამანათაშვილი, ლუიზა გელაშვილი, დარეჯან კუჭაძე, რაირა ალხაზიშვილი, მადონა ფერაძე. მანანა გელაშვილი და სხვები მუშაობენ. მე პირადად მქონია მათთან ურთიერთობა და ვამაყობ მათი პროფესიონალური განათლებით, სწორედ რომ რაიონის ბიბლიოთეკები




ერთგულად ემსახურებიან მკითხველებს.

თუ ყველა ოჯახი ვერ იწერს გაზეთს, კითხვას მაინც ახერხებს. რაიონის 20 ბიბლიოთეკაში ყოველკვირეულად ღებულობენ ახალ გაზეთებს.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს კულტურის, განათლების, სოციალურ სფეროს საკითხებს. დიდი ინტერესით ჩატარდა ხალხმრავალი ღონისძიებები. შარშანდელ ნომერში გამოქვეყნდა საგულისხმო წერილი, სატაურით: **„სიკეთე და სიყვარული გადაგვარჩენს", აღინიშნა შესანიშნავი პოეტის იზო სარქისიანის შემოქმედებითი საღამო**. ტაძრისის ბიბლიოთეკაში მოეწყო სახალხო მთქმელთან **დემურ არონიშიძესთან** შეხვედრა. გაზეთი გვაცნობს, რომ ბაკურიანელმა **ნანა ხეცურიანმა** მორიგი გამოფენა მოაწყო თბილისში, **გვანცა გვალიამ** კი ბერლინის IV-საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მიიღო. იწერება მადლიერი პაციენტების წერილები, თუ როგორ თავდადებით შრომობენ ჯერ ჰოსპიტალის სასწრაფო დახმარების ექიმები, ექთნები, სანიტრები, მძღოლები კოვიდ ინფექციის წინააღმდეგ. რაიონში არავინ დაგრჩება აუწერელი, მათივე სასიკეთოდ ზრუნვაზე ექიმები. რაიონის მერია **ოთარ არბოლიშვილმა** და სპორტულმა მენეჯმენტმა **დავით ზაალიშვილმა** წარმატებული სპორტსმენები **გიორგი ტალახაძე** და **ლუკა ჩიკვილაძე** დააჯილდოვეს. გაზეთ „ბორჯომს" სპონსორობს რაიონის მუნიციპალიტეტი. ხშირად მესმოდა, რომ გამოვიწერო გაზეთი, ვინ მომიტანს! ახლა რედაქციას 15 ფოსტალიონი ემსახურება. ამიტომ ყველა ბორჯომელს მშვიდად შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „ბორჯომი".

**მთელ შემოქმედებით კოლექტივს ვულოცავ ამ დიდ წარმატებას. ყველას, ვინც მთელი ცხოვრება რედაქციაში მუშაობას შეალია. რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტებს ვალერიან ლომიძეს, უშანგი ჯანგირაშვილს, მთელ კოლექტივს ვუსურვებთ, ჯანმრთელობა და მშვიდობიან „ფეხის" წელი დაგვბედებოდეთ! გახსოვდეთ! სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!**

**ნელი ჟღენტი,**
**გაზეთ „საქართველოს ლირიკის" კორესპონდენტი.**

# ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის პარამეტრები

**(გაგრძელება)**

**საგადასახადო შემოსავლები**

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 24 184.2 ათასი ლარით. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 6 474,8 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 455.0 ათასი ლარით (7,56%-ით).

**2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

▬ **დამატებითი ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 774,8 ათასი ლარით.

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით დღგ გაზრდილია 25.01-ით (355 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

▬ **ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4 700.0 ათას ლარს;**

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 2.18-ით (100 ათასი ლარით) იზრდება.

**2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით:**

**გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 3 184.2 ათასი ლარით, მათ შორის:

● **სხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 225.0 ათასი ლარი.**

● **გრანტი სახელმწიფო (სსიპ-დან) და (ააიპ-დან) მგფ 2 959.2 ათასი ლარი.**

▬ **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 11 400.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

**პროცენტები 500.0 ათასი ლარი.**

● **რენტა 10 900.0 ათასი ლარი.**

▬ **შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 1 525.2 ათასი ლარის ოდენობით.**

**მათ შორის:**

● სანებართვო მოსაკრებელი 165.2 ათასი ლარი.

● სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1 000.0 ათასი ლარი.

● ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 330.0 ათასი ლარი.

● შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 30.0 ათასი ლარი;

**შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1 100,0 ათასი ლარის ოდენობით.**

**მათ შორის:**

● შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 260,0 ათასი ლარი;

● შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 120,0 ათასი ლარი;

● საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 720.0 ათასი ლარი.

▬ **ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 150,0 ათასი ლარის ოდენობით.**

**მათ შორის:**

● მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 150,0 ათასი ლარი;

▬ **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 350.0 მლნ ლარს:

▬ **ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილება) - 1 259.8 ათასი ლარი:**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 25 444.0 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4 594.0 ათასი ლარით.

**პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:**

▬ პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება - 9 923.3 ათასი ლარი:

● **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 1 314.8 ათასი ლარი; მათ შორის განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:**

● 2022 წელს რეგფონდიდან დასაფინანსებელი საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტების თანადაფინანსება 200.0 ათასი ლარი.

● ქ. ბორჯომში აღმაშენებლის ქ.№46-ის მიმდებარედ ჩიხის რეაბილიტაცია 41.4 ათასი ლარი.

● ქ. ბორჯომში ქეთევან წამებულის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია 9,3 ათასი ლარი.

● ქ. ბორჯომში 9 აპრილის ქუჩის №12-18-ის მიმდებარედ ჩიხის რეაბილიტაცია 14.1 ათასი ლარი.

▬ **ფეხით სავალი ნაწილის მოპირკეთება 550.0 ათასი ლარი.**

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა- რეაბილიტაცია:

● მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ღობეების რეაბილიტაცია 500.0 ათასი ლარი.

● ქ. ბორჯომში ახალ უბანში ფეხით სავალი ბილიკის რეაბილიტაცია 30.0 ათასი ლარი.

● ქ. ბორჯომში 300 არაგველის ქუჩაზე მოაჯირის მოწყობა 20.0 ათასი ლარი.

▬ **გარე-ვიდეო სამეთვალყურეო,სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების და სიჩქარის რადარების შეძენა-დამინტაჟება 100.0 ათასი ლარი.**

▬ **საგზაო ინფრასტუქტურის მოვლა პატრონობა 400 ათასი ლარი.**

▬ **წყლის სისტემების** განვითარება - 578,0 ათასი ლარი;

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია

● 2022 წელს რეგ.ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება 15.0 ათასი ლარი.

● (ააიპ) ბორჯომის სოფლის წყალი 563.0 ათასი ლარი.

▬ **გარე განათება 1 231.0 ათასი ლარი.**

განხორციელდება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია.

● ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის გამყოლი სკვერიდან (ს/კ 64.23.02.240) ქვ/ს „ბორჯომი 1“- დან გამომავალი 10კვ ძაბვის ეგხ-ი „ელკავშირი“-ს საჰაერო მონაკვეთის გადატანა საკაბელო ხაზში №1 - №3 საყრდენებს შორის 150.0 ათასი ლარი.

● გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 800.0 ათასი ლარი.

● (ააიპ) ბორჯომის გარე განათება 281.0 ათასი ლარი.

▬ **მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია 1 061.0 ათასი ლარი.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2022 წელს რეგ.ფონდის თანადაფინანსებით ცენტრალურ ქუჩაზე ფასადების რეაბილიტაცია. ქ.ბორჯომში კოსტავას ქ.№2-ში მდებარე შენობის (ციცინათელა) ფასადის და სახურავის რეაბილიტაცია . საცხოვრებელი შენობების სახურავების გადახურვა, სადარბაზოების კეთილმოწყობა და სხვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული და ავარიული საყრდენი კედლების რეაბილიტაცია, ასევე ახლის მოწყობა.

▬ **კეთილმოწყობის ღონისძიებები 781.3 ათასი ლარი.**

● ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა 500.0 ათასი ლარი;

● ბორჯომის ა(ა)იპ „გამწვანება 2012“ 195.0 ათასი ლარი;

● ა(ა)იპ „ბორჯომის სასაფლაო“ 86.3 ათასი ლარი.

▬ **მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება 978.0 ათასი ლარი;**

● მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება 978.0 ათასი ლარი;

▬ საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა 700.0 ათასი ლარი;

● დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 400,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება (300 ათასი ლარი).

● **დასუფთავება და გარემოს დაცვა 1 511.1 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა. აღნიშნულ ღინისძიებას ახორციელებს ა(ა)იპ ბორჯომის დასუფთავება.

▬ განათლება 2 763.8 ათასი ლარი.

● სკოლამდელი განათლება 2 703.8 ათასი ლარი.

● საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება 60.0 ათასი ლარი.

▬ **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 3 755.6 ათასი ლარი.**

● **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1 163.8 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს. ამ პროგრამით განხორციელდება:

● ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა - 702.1 ათასი ლარი;

● ა(ა)იპ ბორჯომის ფეხბურთი 2013 118.0 ათასი ლარი;

●რაგბის კლუბი, „ტაო“ - 110.0 ათასი ლარი.

●სპორტული ღონისძიებები- 22.1 ათასი ლარი.

● ატრაქციონებისა და სპორტული მოედნების

სასპორტო შენობების მოწყობა რეაბილიტაცია 202.0 ათასი ლარი (ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ.საკირეში სპორტული მოედანის მოწყობა).

● **კულტურის განვითარების ხელშეწყობა 2 506.8 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კერძოდ:

● ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ბორჯომის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა - 357.0 ათასი ლარი.

● ა(ა)იპ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება - 365.7 ათასი ლარი.

**(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)**

# ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პარამეტრები

(დასასრული)

● ა(ა)იპ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - 688.2 ათასი ლარი.

● ა(ა)იპ ბორჯომის ცენტრალური(ისტორიული) პარკი - 200.0 ათასი ლარი.

● ეროვნული, სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებები - 150.0.

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიოტორიაზე კულტურის სფეროს დაწესებულებების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 286.9 ათასი ლარი

**ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 174.0 ათასი ლარი**

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ, სპორტულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების და ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე, მუნიციპალიტეტის მიზანია წარმატებული სტუდენტების მოტივაციის ამაღლების და მათი პროფესიული გაძლერების მიზნით მათი წახალისება და ხელშეწყობა.

● **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 285.0 ათასი ლარი.**

● **საინფორმაციო მომსახურეობა - 85.0 ლარი.**

▬ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 2 379.1 ათასი ლარი.

● **საზოგადოებრივი ჯანმრთელობა: 159.8 ათასი ლარი;**

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; - მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა:

● **სოციალური დაცვა 2 219.3 ათასი ლარი:**

● მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება 750.0 ათასი ლარი. გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება.

● უფასო სასადილოს დაფინანსება 379.2 ათასი ლარი.

● ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები 2,1 ათასი ლარი.

● მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიოტორიული მთლიანობის აღდგენის ომში მონაწილე შშმ ვეტერანთა დახმარება 6,0 ათასი ლარი.

● ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება 50.0 ათასი ლარი.

● 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება 6,0 ათასი ლარი.

● სტიქის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა 2.8 ათსი ლარი.

● ღვაწლმოსილი ადამიანების დახმარება 3,6 ათასი ლარი.

● 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისა დახმარება 223.2 ათასი ლარი.

● მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა 85.0 ათასი ლარი.

● სოციალური დახმარებები 461.4 ათასი ლარი.

● ონკოლოგიური პაციენტების დახმარების პროგრამა 200.0 ათასი ლარი.

● ბავშვთა დაცვა და უფლებების მხარდაჭერა 50.0 ათასი ლარი.

▬ **მმართველობა - 5 111.1 ათასი ლარი, მათ შორის:**

● საკრებულოს დაფინანსება - 1 115.0 ათასი ლარი;

● მერია - 3 437.0 ათასი ლარი;

● სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 137.2 ათასი ლარი.

● სარეზერვო ფონდი 300.0 ათასი ლარი.

● შესყიდებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი 15.0 ათასი ლარი.

● სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 76,9 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 55.6 ლარი და პროცენტი - 21.3 ლარი.

● საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა 30.0 ათასი ლარი.

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|
| | სულ ჯამი | 25 444.0 |
| 01 01 01 | საკრებულო | 1 115.0 |
| 01 01 02 | მერია | 3 437.0 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 137.2 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 300.0 |
| 01 02 04 | შესყვიდებთან (ტენდერი აუქციონი) დაკავშირებული ხარჯი | 15.0 |
| 01 02 06 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 76.9 |
| 01 02 07 | საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა | 30.0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 9 923.3 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის | 1 314.8 |
| 02 02 | წყლის სისტემის და საკანალიზაციო ქსელის განვითარება | 578.0 |
| 02 03 | გარე განათება | 1 231.0 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 1 061.0 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 781.3 |
| 02 06 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 978.0 |
| 02 07 | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დოკუმენტაციის შესყიდვა | 700.0 |
| 02 08 | განახლებული რეგიონების დაფინანსება (მგფ) | 2 959.2 |
| 02 11 | სამოქალაქო ბიუჯეტი | 320.0 |
| 03 00 | დასუფთავება და კეთილმოწყობა | 1 511.1 |
| 04 00 | განათლება | 2 763.8 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 3 755.6 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2 379.1 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 159.8 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 2 219.3 |

## ახალი წლის სურვილები

**მეორე წელია, რაც საქართველოს მოსახლეობა ახალ წელს კორონავირუსთან დაკავშირებულ პერიპეტიებთან ერთად ხვდება. ამიტომ ბუნებრივია,რომ ხალხის ძირითადი ნაწილი საახალწლო სურვილების ჩამონათვალში მთავარ ადგილს პანდემიის დასრულებას უთმობს. თუმცა შარშანდელთან შედარებით გამოკითხულთა უმრავლესობამ უარი მითხრა პასუხის გაცემაზე, ყური მოიყურა. ამიტომ ყველაზე ნათელი და პოზიტიური რესპოდენტები შევარჩიე და მათ პასუხებს გთავაზობთ.**

**მარიამი, 25 წლის:** - ახალი წელი ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული დღესასწაული იყო თავისი ჯადოსნური და ზღაპრული განწყობით. ამ დროს ყველას გვინდა გვჯეროდეს, რომ სასწაულები ნამდვილად ხდება, ახალი ცხოვრება იწყება და ყველა დასახული მიზანი მიიღწევა. ახალი წლის ღამით ჩვენ ყველანი ცოტა ხნით ისევ ბავშვები ვხდებით. სადღესასწაულო სუფრას, მორთულობებს და განათებებს თან სდევს ბავშვობის დროინდელი განწყობა - როდესაც ნაძვის ხე იმაზე ბევრად დიდი გვეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო, როცა თოვლის ბაბუას სულმოუთქმელად ველოდით. მინდა ყველას მივულოცო დამდეგი ახალი წელი. ვუსურვო ბედნიერება, ჯანმრთელობა. ახალი წელი - ახალი იმედები, ახალი სურვილები. დაე ყველაფერი ცუდი ძველ წელიწადში დაგვეტოვებინოს. 2022 წელი ყოფილიყოს ნაკლები დარდის, სულ ცოტა სასწაულის და უამრავი ბედნიერი წუთის წელიწადი!

**ოლგა, 37 წლის:** - პირველ რიგში მინდა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მივულოცო დამდეგი ახალი წელი. ჯანმრთელობის, ბედნიერების, სულიერი სიმშვიდის მომტანი ყოფილიყოს. დანარჩენი ყველაფერი გამოსწორებადი და მიღწევადია. რასაც ჩემს თავს ვუსურვებ, სხვებისთვისაც ის მინდა. ჩემი მთავარი სურვილი კი პანდემიის დასრულებაა, იმედი მაქვს დავუბრუნდებით ნორმალურ ცხოვრებას!

**ეთერი, 31 წლის:** - 2022 წელს დიდი მოლოდინით ვხვდები. იმედი მაქვს, რომ ეს წელიწადი იქნება სიმშვიდის წელი, პირბადეების და შეზღუდვების გარეშე. ხალხი იქნება გაღიმებული და სტრესული მდგომარეობის გარეშე.

**მარი, 31 წლის:** - მინდა, რომ 2022 წელი სურვილების ასრულების, სიხარულის, სიყვარულის და ბედნიერების წელი ყოფილიყოს! საკუთარ თავს ბევრ მოგზაურობას და თავგადასავლებით სავსე დღეებს ვუსურვებ!

**ტატა, 48 წლის:** ვისურვებდი, 2022 წელს კორონავირუსის პანდემია ცუდი სიზმარივით დავივიწყოთ. შევძლოთ თეატრში, წიგნების ფესტივალებსა და საზღვარგარეთ თავისუფლად სიარული!

**ანა, 30 წლის:** - ჩემი ყველაზე დიდი სურვილი და მოლოდინი ახალ 2022 წელს არის ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნება. ეს მთავარია! ყველას ვულოცავ ახალ წელს! რაც მთავარია ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს ვუსურვებ!

**ნინო, 32 წლის:** - ახალი წელი თავისთავად რაღაც ახლის დასაწყისს გულისხმობს. იმედი მაქვს, ეს წელი სიმშვიდეს მოუტანს საქართველოს და მთელ მსოფლიოს. კორონავირუსმა შეცვალა სამყარო და იმედი მაქვს, მალე დასრულდება ეს ქაოსი.

**დაე, ყველა კეთილი სურვილი ასრულდეს ახალ, 2022 წელს!**

**რუსუდან სხირტლაძე**

## სკოლის ისტორიიდან

**1879 წელს** შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. მოგვიანებით ამ საზოგადოების თავმჯდომარე გახდა დიმიტრი ყიფიანი, რომელიც ქვიშხეთში ცხოვრობდა და მისი სახლი ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შეკრების საყვარელ ადგილად იქცა. დღეს იქ დიმიტრი ყიფიანის სახელობის მუზეუმი ფუნქციონირებს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით მესხეთის მკვიდრმა **იოსებ ნებაძემ** (სოფ. ღრელიდან) მესხეთში შეარჩია რამდენიმე სოფელი, სადაც სკოლები უნდა გახსნილიყო. მათ რიცხვში მოხვდა სოფელი ტაძრისიც, როგორც ისტორიული სოფელი სუფთა ქართული მოსახლეობით, იოსების ცოლიც ტაძრისელი ზირგუანთების ქალი იყო, გვარად შაყულაშვილი.

1881 წ. სოფელ ტაძრისში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სანდალა ბახტაძისაგან იქირავა ერთი ოთახი, სადაც სამი სოფლის - ტაძრისის, საკირის და დგვარის ბავშვები ეუფლებოდნენ წერა კითხვას. სკოლა თავიდან ერთკლასიანი იყო, შემდეგ ბავშვთა რაოდენობამაც იმატა და მეორე ოთახიც იქირავეს ვასილ კაპანაძისაგან სოფელ საკირეში. სკოლაც ორკლასიანი გახდა. 20-იან წლებში სკოლა გახდა ოთხკლასიანი, ხოლო 30-იანი წლებიდან - შვიდკლასიანი.

წელს შესრულდა ტაძრისის სკოლის დაარსებიდან 140 წელი. მთელი სულით და გულით ვულოცავ სკოლას, პედკოლექტივს, მოსწავლეებს და სამივე სოფლის მოსახლეობას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს!

**კობა მეტრეველი,**

**ტაძრისის საჯარო სკოლის დირექტოქტორი 2003-2010 წლებში.**

## ნიჭიერი თაობა

# მუსიკა ადამიანის სულის გამოძახილია

ახალგაზრდა, უნიჭიერესი პიანისტი **ნინი ჯავახიძე** მეშვიდე კლასში იყო, როდესაც ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სკოლის ნიჭიერთა ათწლედში ჩააბარა, ხოლო 2021 წელს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის (საფორტეპიანო განყოფილება-კლავიშიანი საკრავების ფაკულტეტის) სტუდენტი გახდა. თუმცა, პირველი ნაბიჯები მუსიკის საინტერესო, რთულ და საკმაოდ საპასუხისმგებლო სამყაროში ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლაში აიდგა, სადაც მისი პედაგოგი უნიჭიერესი და ბორჯომელთათვის საამაყო პიროვნება, ქალბატონი **მარინა რატიანი** გახლდათ. ნინიმ რამდენიმე თვის წინ, როგორც უკვე ნიჭიერთა ათწლედის კურსადამთავრებულმა, მშობლიური სკოლის სცენაზე სოლო კონცერტი გამართა, თუმცა მას ახლა როგორც კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტს, საინტერესო ისტორიითა და სამომავლო გეგმებით ისე წარმოგიდგენთ.



**● წლების მანძილზე დამკვიდრებული იყო ტენდენცია იმასთან დაკავშირებით, რომ მშობელს, განურჩევლად იმისა, გოგონა ჰყავდა თუ ვაჟი, მისი სურვილის მიუხედავად, აუცილებლად უნდა ჰქონოდა დამთავრებული სავალდებულო მუსიკალური შვიდწლედი. როგორ იყო შენ შემთხვევაში?**

– ჩემი შემთხვევა ამ მხრივ განსხვავებული იყო, რადგანაც ჯერ კიდევ 4 წლის ვიყავი, ფორტეპიანოზე რომ ვცდილობდი დაკვრას. სახლში ინსტრუმენტი გვქონდა. დედასაც დამთავრებული აქვს შვიდწლედი და სწორედ დედის დამსახურებით ვისწავლე ნოტები და პირველ კლასშიც სწორედ ჩემი სურვილით მივედი.

**● ნინი როგორ გაიხსენებ პირველ ემოციას, როდესაც პირველ კლასში მიხვედი?**

– სიმართლე გითხრათ, ის ემოცია არ მახსოვს. მახსოვს პირველი კონცერტი, რომელზეც პირველ კლასში მოსვლიდან მალევე გამოვედი და როგორ მეშინოდა, პასუხისმგებლობას ვგრძნობდი მასწავლებლისა და ოჯახის წევრების მიმართ. ის ემოცია არასდროს დამავიწყდება.

**● რამდენად დიდი როლი ითამაშა პედაგოგმა?**

– რომ არა ჩემი პედაგოგი მარინა რატიანი, ისეთი ვერ ვიქნებოდი, როგორიც ახლა ვარ. რომ გავიზარდე, ახლა ვხვდები, თუ რამდენს აკეთებდა ჩემი პედაგოგი ჩემთვის. არასდროს მაძლევდა მოდუნების საშუალებას. მე, ისევე როგორც ყველა ბავშვს, მქონდა სიზარმაცის მომენტებიც, თუმცა ქალბატონი მარინას დამსახურებით ყველაფერი გადავლახე, რისთვისაც მას უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა.

**● საკმაოდ რთულ პირობებში მოგიწია მუსიკალურ სკოლაში სწავლამ, ვინაიდან, საკმაოდ ძველ, უსახურ, ბნელ შენობაში გიწევდა სიარული, თუმცა შეძელი და დღეს უკვე კონსერვატორიის სტუდენტი ხარ. ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც მოტივაციას გაძლევდნენ და შენი სჯეროდათ?**

– პირველ რიგში ჩემი პედაგოგი, რომელმაც სრულიად სხვა თვალით დამანახა მუსიკის სამყარო, მას ისე მივეჯაჭვე, როგორც საკუთარ მშობელს. და, რა თქმა უნდა, დედაჩემი, რომელიც ყველა გაკვეთილზე დამყვებოდა, სახლში ჩემთან ერთად იჯდა და მამეცადინებდა. აქედან გამომდინარე, არასოდეს გამჩენია იმის სურვილი, რომ საყვარელი საქმე დამეტოვებინა და უარი მეთქვა.

**● ნინი, საბოლოოდ როდის გადაწყვიტე, რომ მუსიკა შენი ცხოვრების მთავარ პროფესიად გექცია და კონსერვატორიის სტუდენტი გამხდარიყავი?**

– უკვე მეხუთე კლასიდან მივიღე გადაწყვეტილება, რომ უნდა ჩამებარებინა ნიჭიერთა ათწლედში და შემდეგ კონსერვატორიაში.

**● მომავალი პიანისტის საქმიანობა საკმაოდ დიდ ძალისხმევასა და ყოველდღიურ შრომას საჭიროებს.... რამდენი საათია საჭირო ყოველდღიურად ინსტრუმენტთან სამუშაოდ, რომ ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდე?**

– პრაქტიკულად ეს ყოველივე გულისხმობს ბევრ რამეზე უარის თქმას. ყოველდღიურად გიწევს 8-9 საათის მანძილზე ინსტრუმენტთან ჯდომა და ყოველდღიური შრომა. ვიცი და გაცნობიერებული მაქვს, რომ ეს ყოველივე ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და წარმატებისათვის ყველაფერს გავაკეთებ.

**● მელოდია, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს შენს ხასიათს?**

– რ. შუმანის „ფანტაზია“.

**● და როგორია ეს მელოდია? მხიარული თუ სევდიანი?**

– სევდიანია, თუმცა არც იმდენად. ამ მელოდიაში გაერთიანებულია ბევრი რამ, რაც მე პირადად ძალიან მომწონს და ვთვლი, რომ ჩემ ხასიათს უკეთ აღწერს.

**● ქართველი კომპოზიტორი, რომლის შემოქმედებაც ყველაზე მეტად მოგწონს?**

– გია ყანჩელი, რომლის შემოქმედებაც ჩემთვის რაღაცნაირად სათუთი, ფაქიზი და რბილია. აი გულზე მალამოდ რომ გედება ისეთი.

**● რაც შეეხება უცხოელ კომპოზიტორებს?**

– მომწონს ბრამსი, შუმანი და შოპენი.

**● ნინი, ბოლო სოლო კონცერტზეც მინდა გკითხო, რომელიც კონსერვატორიაში ჩაბარებამდე გამართე. რამდენად საპასუხისმგებლო იყო შენთვის მშობლიური სკოლის სცენაზე, საკუთარი პედაგოგებისა და ბორჯომელი მაყურებლის წინაშე წარდგომა?**

– რა თქმა უნდა, საკმაოდ საპასუხისმგებლო და ამაღელვებელი იყო, რადგანაც ჩემი პედაგოგისა და აქაური მაყურებლის შეფასება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია.

**● კონსერვატორიის პედაგოგებიდან ვის გამოარჩევდი?**

– უამრავ პედაგოგთა შორის, რომელთაც ყველას უდიდეს პატივს ვცემ, გამოვარჩევდი სპეციალობის პედაგოგს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ნინო ქათამაძეს, რომელსაც მარინა მასწავლებლის მსგავსად მივეჯაჭვე და ისიც დედობრივი მზრუნველობით ცდილობს შემაყვაროს მუსიკის სამყარო. მას მხოლოდ პედაგოგად ვერ აღვიქვამ, რადგანაც მუსიკა ადამინის სულის გამოძახილია, რომელიც ბიზნესი ნამდვილად არ არის და ვერ იურთიერთებ მუსიკის სამყაროში მყოფ ადამიანთან ისე უბრალოდ, რომელთანაც გულით და სულით ახლოს არ ხარ. მე სწორედ ასე ვარ ქალბატონ ნინოსთან.

**● სამომავლო გეგმებზეც რომ გვესაუბრო?**

– ზუსტად არ მაქვს გადაწყვეტილი რას ვიზამ, თუმცა ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ შესაძლოა მაგისტრატურაში საზღვარგარეთ ჩავაბარო. ამასაც დრო გვიჩვენებს.

**ნინი დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ.**

ესაუბრა
**ნატო მელიქიძე**

ცენტრალური გაზეთებიდან

# ...ისევ და ისევ ბეჭდვური მედიის შესახებ

**მანიაკებზე გადაღებულ ფილმების უმრავლესობაში არის ერთი საყურადღებო პასაჟი – მანიაკს სურს, რომ იყოს „ცვეტში“, ყურადღების ცენტრში და მუდამ მასზე ლაპარაკობდნენ, მისი ეშინოდეთ.**

**მინახავს** რამდენიმე ფილმში, როცა მას შეუწყვეტენ ე.წ. პიარს, მის გასაგონად აცხადებენ, რომ ის საინტერესო აღარ არის (ვთქვათ, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია მისი ლიკვიდაციის, ან დაკავების შესახებ) და მანიაკი წყობიდან გამოდის.

ნაცმოძრაობის შემთხვევაში საქმე უფრო მარტივადაა.

ისინი ყალბი, მატყუარა ტელევიზიების მეშვეობით მუდმივი ყურადღების ცენტრში იმყოფებიან და ფაქტობრივად ამით სულდგმულობენ.

ამით ჰყავთ „დაჭერილი“ გასექტანტებული ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ რადგანაც მედია ნაცებზე ლაპარაკობს, ე.ი. ძლიერები არიან.



საკმარისია მათ გაუკეთდეს სრული იგნორი ანუ უგულებელყოფა, რომ ჟანგბადი გადაეკეტებათ.

სამწუხაროდ, ბუნებრივი გახდა და საუბედუროდ უკვე მივეჩვიეთ ე.წ. „კრიტიკული მედიის“ მხრიდან მოსახლეობაზე ფეიკებით ძალადობას.

დიახ, მივეჩვიეთ ამ მარაზმს, ფაქტობრივად უკვე მისი ტყვეები გავხდით და ამ დროს აბსოლუტურად გაუგებარია ხელისუფლების ინერტული ქმედება მოსახლეობის ამ ძალადობისგან დაცვის მიმართულებით.

კი ბატონო გასაგებია ის მკვეთრი განცხადებები ნაცტელევიზიებში გასული სიუჟეტებისა თუ გადაცემების შესახებ.

ძალიან კარგია, რომ იდება ფაქტები, რომლებშიც თავად ნაცების მხრიდან ჩართული ექსპერტების მიერ ხდება ზუსტი ინფორმაციის გახმიანება.მისასალმებელია ხელისუფლების დემოკრატიული დამოკიდებულება გამოხატვის თავისუფლების მიმართ, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება უკვე ძალიან მძიმედ ხვდება მოსახლეობას და მატყუარებისა და მოძალადეების მიმართ, ასე ვთქვათ, ლოიალური დამოკიდებულება ხალხის გაღიზიანებას იწვევს, რაც ნაცების მთავარი მიზანია. არ ვამბობ ისეთი მეთოდების გატარებას, რასაც დიქტატორული რეჟიმები და თავად ნაცები ატარებენ (დიახ, ნაცები დღესაც დიქტატორული მეთოდებით ებრძვიან ნამდვილ თავისუფალ სიტყვას და მათთვის მიუღებელი აზრის ნებისმიერ გახმიანებას).

რადგან ხელისუფლება, ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო, არ იღებს კანონს ცილისწამების, სიცრუისა და ძალადობის გავრცელების წინააღმდეგ და იმ რამდენიმე მედიას, რომლებიც ნამდვილად ნორმალური პრინციპებით და სტანდარტებით მუშაობენ, არ ძალუძთ გადაფარონ მოძალადეების ფორსირებული შეტევები, და საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს წვდომა ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე, ერთადერთი გამოსავალი ბეჭდვური მედიის დახმარებაა.

ბეჭდვური მედიის აღორძინება, რომელიც ყველა ოჯახში შევა და ხალხს მიეცემა საშუალება დინჯად წაიკითხოს სიმართლე, გაანალიზოს და გააკეთოს შედარება, არსებული მძიმე ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალია. არ დამიწყოთ ახლა „ძააან სვეტური თოქინგობა“ - რაღა დროს გაზეთია, 21-ე საუკუნეში ვააართო.

ბევრს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ბეჭდვური მედიის ძალას სააკაშვილი ზუსტად მიხვდა და იმიტომაც სცადა მისი განადგურება, როცა ტრადიციული ჟურნალ-გაზეთები გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყარა და უსახლკაროდ დატოვა!.

ამიტომ კიდევ ერთხელ ვიტყვი და მუდმივად გავიმეორებ - უნდა გაძლიერდეს თავისუფალი და ნამდვილი ბეჭდური მედია და ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს მასზე წვდომა.

**გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 12 იანვარი, №5. 2022წ.**

# ბორჯომის უახლოესი ისტორიის ფურცლები

### ქალაქ ბორჯომის მოსახლეობა

1933 წელს ქალაქ ბორჯომის მუდმივი მოსახლეობა შეადგენდა 9870 ადამიანს. მათ შორის ქართველები-6200, სომხები - 1970, რუსები-1080, სხვადასხვა - 707.

### მრეწველობა 1933 წელს

89 წლის წინად ქ. ბორჯომში მოქმედებდა ბორჯომმინწყლების, (ჩამომსხმელი, შუშის ქარხნის მიერ ნახშირმჟავის სამივე ერთ კომპლექსში იგულისხმებოდა), საკასრე, აგურის, ლიმონათის და პურის ქარხნები.

ბორჯომმინწყლების (შუშის ქარხნის მიერ) 1932 წელს გამოშვებულმა პროდუქციამ შეადგინა 9630 ათასი ბოთლი. 1926-1927 წლის ფასებში შეადგენდა 1215 ათასი მანეთის პროდუქციას, მუშების რაოდენობა 520;

**ნახშირმჟავის საამქროში** 1932 წელს გამოშვებული იყო 306,6 ტონა პროდუქცია, (1926-1927 წლების ფასებში 255 ათასი მანეთის პროდუქცია), მუშათა რაოდენობა - 17;

**ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხანამ** 1932 წელს გამოუშვა 17050 ათასი ბოთლი მინწყალი, რომლის ღირებულებამ 1926-1927 წლების ფასებში შეადგინა 5495 ათასი მანეთი, ქარხანაში მუშაობდა 235 ადამიანი.

**საკასრე ქარხანა.** 1932 წელს გამოშვებული იყო კასრების 686280 კომპლექტი. 1926-1927 წლების ფასებით 1877 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია, 1933 წელს გამოუშვეს - 325 ათასი კომპლექტი, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 707 ათასი მანეთი. მუშების რაოდენობა 1932 წელს - 455, 1933 წელს - 225.

1933 წლის ზაფხულს დაისვა საკითხი ქარხნის გაუქმების თაობაზე (მიზეზი ნედლეულის ბაზის ამოწურვის გამო).

**აგურის ქარხანა** - საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილებას ექვემდებარებოდა. 1932 წელს გამოუშვა - 1200 ათასი ცალი აგური. 1926-1927 წლების ფასით 37 ათასი მანეთის პროდუქცია, მუშათა რაოდენობა შეადგენდა 103 ადამიანს.



**საქალაქო საბჭოს ლიმონათის ქარხანა** საკურორტო ობიექტებს ამარაგებდა. დღეში 1500 ბოთლ ლიმონათს უშვებდა. მუშაობდა 12 ადამიანი.

საკურორტო მომარაგების **პურსაცხობი,** დღეში - 1900 კილოგრამ პროდუქციას უშვებდა. დასაქმებული იყო 7 მუშა.

**სამრეწველო არტელებში** გაერთიანებული იყო 310 ადამიანი და 1932 წელს აწარმოაეს 997 ათასი მანეთის პროდუქცია.

**ელექტრო სადგური,** დაარსებულია 1899 წელს, სიმძლავრე 150 ცხენის ძალა. მუშაობდა წყლის 3 ტურბინი (300 კვ), არ მუშაობდა მეოთხე ტურბინი 525 ცხენისძალის, ენერგიის 45 პროცენტი სამრეწველო ობიექტებს მიეწოდებოდა, 55 პროცენტი - საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს. ელსადგურში ირიცხებოდა 27 ადამიანი.

**ბორჯომის რაიონში** 1933 წელს მოქმედებდა რამდენიმე სამრეწველო საწარმო:

**საქკურორტმშენის ახალდაბის** სახერხმა ქარხანამ 1932 წელს გამოუშვა 6892 კუბმეტრი სამშენებლო და 537 - საყუთე მასალა. სულ თანხით 419 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. საწარმოში მუშაობდა 57 ადამიანი.

ნავარაუდევი იყო ამ ობიექტის ბორჯომწყლის ქარხანაზე გადასვლა, რათა გამოშვებული პროდუქცია ჩამომსხმელ ქარხანას ყუთებისათვის გამოეყენებინა.

**ბაკურიანის ანდეზიტმა** ფუნქციონირება დაიწყო 1931 წელს და გამოუშვა 1110 კუბმეტრი 447 ათ. მანეთის პროდუქცია. 11932 წელს 311 ადამიანი მუშაობდა.

1933 წელს საწარმო დაკონსერვდა.

### ქალაქ ბორჯომის სანიტარული მდგომარეობა

ქალაქის სიახლოვეს დიდი ბალპარკები არ არსებობდა, მხოლოდ შედარებით პატარა ბაღები იყო.

**მალარიის, როგორც საშიში** ინფექციის დაავადების ცალკეული შემთხვევები გამოვლინდა. ეპიდემიებიდან უნდა აღინიშნოს მუცლის ტიფის შემთხვევები.

**იმ წლებში** ბორჯომში გაიხსნა სანიტარულ-ჰიგიენური სადგური. მის მუშაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სასმელი წყლის სისტემატიური გამოკვლევები.

**ქუჩები და ეზოები** იგვებოდა. 1932-1933 წლებში შემოღებული იქნა მენაგვეთა ინსტიტუტი, რომლის მუშაობასაც თვალს ადევნებდა სანიტარულ-ჰიგიენური სადგური. ნაგავი იზიდებოდა და იყრებოდა მდ. მტკვარში ქალაქგარეთ.

**სასაფლაო** მდებარეობდა შორს დასახლებული ადგილიდან და ეკავა რამდენიმე ჰექტარი.

**სიკვდილიანობის** მონაცემები ბორჯომში 1926-1929 წლებში უდრიდა საშუალოდ მოსახლეობის 1.4 პროცენტს.

ისტორიული მასალები
მოიძია **ვალერიან ლომიძე**

# დეკემბრის მზებუდობისა

გათოვდა,
ცის თაღზე, სხივს მალავს ღრუბელი,
უცოდველ ფიფქებით სახურავს დაათოვს,
ზამთარი გულწრფელად ჩამოჰკრავს თავის ჰანგს,
დუმილით გაზომავს გასარბენ მარათონს.

დეკემბრის ბუდობა, ასწორებს ბნელ - ნათელს,
სასწორზე შეაგდებს ათას გზის გადათვლილს,
„მკვდარი მზე დღე-ღამეს თანაბრად აანთებს,
და ფურცელს გადაშლის სამყაროს სამართლის.

იშვება ციური მნათობის სიახლე,
ცხრა ქიმით, ცხრა სხივით, ცხრა თვალით, ცხრა კარით,
სამხრეთს და ჩრდილოეთს სიცოცხლით აავსებს,
სამ დროში, სამ დღეში, „ქნარით“ და „დაფ-დაფით“.

„ზევსის“ წინ აიხვევს თვალსახვევს „თემიდა“,
ჩემ თვალწინ იელვებს შვიდფერი სარტყელი,
ჩემ თვალწინ...
ჩემ თვალწინ...
მსხვერპლს მისდევს ცხოველი და თოვლზე ბეღურა
ვიღაცას კვლავ ელის...
----
იყო დრო - კოცონზე აანთეს „ჯორდანო“,
იგივე მიწაზე ძეგლიც აღუმართეს,
ან, კიდევ... „დარვინის“ მოძღვრება კვლავაც ჟღერს,
მაგრამ გაიძვერას, დღეს მეტად „უმართლებს!

„უმართლებს“ ქიცინით, რქებით და ჩლიქებით,
სახეართმეული ცხოვრობს და ცხოველობს,
ნიღბების ბაზრობა „30 ვერცხლსა ცნობს,
და, მართლაც...

- რა ზნე გჭირს შენ, წუთისოფელო?! -

ედემის ბაღიდან გამოყრილ მონაგარს,
ცოდვის და სინდისის ტომრები აგვკიდეს,
დავდივართ, დავეძებთ ზღვის ფსკერზე ცის კიდეს,
ვურევთ და ვალაგებთ ომსა და სიმშვიდეს.

საათზე ისრები დასდევენ ერთმანეთს,
ხვდებიან, გარბიან ურთიერთსადარი,
ბრუნავს და ტრიალებს მიწაც და წისქვილში,
ქვაცა და ფქვილიც და
ბორჯღალი მზის დარიც.

ჩართული წამზომი არ ცდება წამსაც კი,
ნაწერი მცნებანი კანონებს ფუძობენ,
ღმერთების ჩარხი თუ საუფლო, თუ ზარი,
წესრიგს და გონებას, სიყვარულს უმონებს!

- უყურებ, ვერ ხედავ!
ამბობს და არ ისმენ!
ისწავლე მხოლოდ ის, რომ უნდა იარო??
შენ! - მარად ევა და
შენ! - მარად ადამო,
წითელ ზოლს, რატომ კვეთ
სახემადლიანო?!...

დეკემბრის ბუდობა, ასწორებს ბნელ - ნათელს,
სასწორზე შეაგდებს ათასგზის
გადათვლილს,
სამ დღეში ალესავს ალმასი მზის სხივებს,
რიჟრაჟზე, განთიადს ცის ალერსს დააცდის...

**ნინო ხოტივარი**

# ჩემი ცხოვრება ფეხბურთი გახდა

**ძალიან სასიხარულოა, როცა იგებ, რომ ბორჯომში სპორტით გატაცებული ახალგაზრდები არიან. ჯანსაღი წესი და სპორტის სიყვარული მათი განუყოფელი ნაწილია. 27 წლის სერგი კობესაშვილი უკვე სასპორტო ლიცენზიით მეორე წელია ორმოცდაათამდე მოზარდს ასწავლის ფეხბურთის ანა-ბანას.**



- ჩემი ფეხბურთისადმი სიყვარული ოთხი წლის ასაკიდან დაიწყო. დავიწყე ვარჯიში, მამაჩემი ფეხბურთელი იყო. ამჟამად მწვრთნელი. ბავშვობიდან მიყვარდა ფეხბურთი და ოცნებად მქონდა თამაში. შემდგომ, 17 წლის ასაკში, ჯანმრთელობამ შემიშალა ხელი (დავამარცხე სიმსივნე), სამი წლის მანძილზე ვმკურნალობდი, მაგრამ ფეხბურთის დიდ სიყვარულს ამან ხელი ღვთის წყალობით, ვერ შეუშალა. ბავშვობიდან გავიხსენებ რამდენიმე დეტალს: სულ ხისტი ვიყავი, არ მეშინოდა თუნდაც ჩემზე დიდებში მეთამაშა, ყოველთვის ადრე მივდიოდი ვარჯიშზე, და სულ სტადიონზე ვატარებდი დროს.

● **თუკი რაიმეს მივაღწევთ, ყოველთვის ჩვენს გვერდით დგას ის ეტალონი, ვინც ავტორიტეტად მიგვაჩნია ჩვენს სფეროში. შენთვის ვინაა ასეთი?**

- ფეხბურთი მამაჩემმა შემაყვარა, სულ წასული იყო უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, იშვიათად ვხვდავდი, თამაშებზე შეძლებისდაგვარად დავდიოდი და ვგულშემატკივრობდი. ჩემი ცხოვრებაც ფეხბურთი გახდა! ბევრი მწვრთნელი გამოვიცვალე ბავშობიდან მოყოლებული, მაგრამ ჩემი პირველი მწვრთნელი გახლდათ ჯუნგლი ქართველიშვილი - ძალიან საყვარელი, პროფესიონალი, მისაბაძი პიროვნება გახლდათ, ღმერთმა აცხონოს მისი სული. ყველას მადლიერებით მოვიხსენიებ, ვინც პიროვნებად მაქცია: დათო ვარდიაშვილს და ზაზა კობესაშვილს. რაც შეეხება ბორჯომში ფეხბურთის განვითარებას, ვთვლი, რომ წინ მივდივართ, რაშიც ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩვენი მუნიციპალიტეტი და სპორტსკოლა. რომ არ ვთქვა, არ შემიძლია ბატონ **ელიზბარ სტეფნაძეზე და ბატონ მიხელ გოგოლაძეზე,** რომლებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას ბავშვების განვითარებაში და გვერდში გვიდგანან მეც და ლაშა კიკნაძესაც.

● **რა მომავალი აქვს ფეხბურთს ბორჯომის რეალობაში?**

- ეს მითია, როცა ამბობენ, რომ ბორჯომში ბავშვი ფეხბურთში ვერ განვითარდება რაღაც ეტაპის შემდეგ. მე ასე არ ვფიქრობ: სწორი მიდგომით, პროფესიონალიზმით და შრომით მივაღწევთ იმას, რისი იმედიც გვაქვს და გვჯერა! ქართულ ფეხბურთს რა აკლია? ჩემი აზრით, პირველი ეტაპიდან აუცილებელია დაწყება (ბავშვების განვითარებით) და ბოლომდე ყურადღების მიქცევა აუცილებელი, კარგი ინვენტარი, პროფესიონალიზმი, დაფინანსება, რომ ბავშვმა შეძლოს კარგ პირობებში აღზრდა და ჩამოყალიბება ფეხბურთელად.

● **ამ საპასუხისმგებლო საქმეში - მწრთვნელობაში შენთვის რა არის მთავარი და გვითხარი რომელი გუნდის გულშემატკივარი ხარ?**

- ჩემთვის, პირველ რიგში, დისციპლინაა ბავშვებში. ვარჯიშზე მეგობრული და პროფესიონალური მიდგომაა აუცილებელი. სხვაგვარად ვერ ვითანამშრომლებთ. ყოველთვის მაქსიმუმს ვცდილობ და ვითხოვ ბავშვებისგანაც. ბავშობიდან „რეალ მადრიდის“ გულშემატკივარი ვარ, საყვარელი ფეხბურთელი კი, ჯენარო გატუზოა.

● **რა არის შენთვის ქალაქი ბორჯომი?**

- ქალაქი ბორჯომი ჩემთვის, რა თქმა უნდა, ყველაფერია, მთელი ცხოვრება. სასურველი იქნება კარგი მოედანი გვქონდეს და გაკეთდეს ბავშვებისთვის ნორმალური დარბაზი. დიდ ფეხბურთელებად თუ ვზრდით, ეს აუცილებელია!

**ესაუბრა მონიკა ჭანტურია**

# თამუნა მსხილაძის სულისშემძვრელი გამოთხოვება

**ბებიაშენი ეზოში გამოსულიყო, წინ წვრილი, შავი მზესუმზირის პირამდე სავსე თასი ედგა, გვერდით, მოწნული მრგვალი კალათი, თეთრი ვარდის კოკრებით სავსე და მივხვდი, გაღვიძებისას, ფეისბუქი ცუდ ამბავს შემატყობინებდა.**

**ჩვენო ბუთქუნა, საყვარელო გოგო, გულის გულიდან ამოსულო. დაგტირის და ვიშვიშებს მთელი ბორჯომი, ჩვენი უბანი, სამეზობლო, სადაც მოგიხაროდა მუდამ.**

**მე კი შორიდან გეთხოვები, შენი დედის, დედმამისშვილების, ბებიისა და ქმარ-შვილის ტკივილგაზიარებული. თვალწინ დაქალებული თამუნა მსხილაძე კი არა, სამი წლის ცელქი, ბუთქუნა გოგო მიდგას სცენაზე რომ ავიყვანე, უსერიოზულეს როლში მოუსვენრად და არასერიოზულად რომ ითამაშე და მაყურებელს გამორჩეულად დასტყუე ტაში!**

**რა გაანელებს იმ ცეცხლს თამო, ზაირა ბებომ ჭამა აკრძალაო, მამაშენი არ განელებულა თქვენს ოჯახში, ისიც სიცოცხლით გაუმაძღარი, ისიც ავარიის მსხვერპლი. რამდენიმე წლის წინათ იანვარში გამოემშვიდობა თავის ოჯახს, შვილებს, მეზობლებს, მეგობრებს.**

**შენც იანვარმა გაგიხსნა გზა სასუფევლისკენ, მიუხვალ მამას დაქალებული, მამის ალიკვალო, დედაშენს გაძლება, დათმენა, შენი შვილების საიმედოდ, ძალიან მეტკინე, შვილო!**

**მარინა გელაშვილი,**
**ისრაელიდან**



მეუღლე ლალი, შვილები ვანო, თამარ ჩაჩანიძეები, შვილიშვილები გიორგი, მარიამი, ნინო, ქეთინო, რძალი სალომე გაბიჩვაძე, სიძე გელა გოგოლაძე, და ცარო ჩაჩანიძე, სიძე ევგენი სვანიძე, დისშვილები ოთარი, ალეკო ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გიორგი ჩაჩანიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20 იანვარს 2 საათზე, ფიროსმანის ქ. №22.

სვეტა ხაჩიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**თამუნა მსხილაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის გამწარებულ დედას და ოჯახს.

ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის, პედაგოგ **ეთერ გეგეშიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ეთერ გეგეშიძე ოთხი ათეული წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ბორჯომის სამუსიკო სკოლაში და გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, დიდი პასუხისმგებლობით, საქმისადმი ერთგულებითა და მოსწავლეების მიმართ თბილი დამოკიდებულებით.

ეთერ გეგეშიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენი სამუსიკო სკოლის კოლექტივის, მისი მეგობრებისა და აღზრდილების გულებში.

უფალმა ნათელი მოჰფინოს მის ლამაზ სულს!

# საუკეთესო მოსწავლე-სპორტსმენები

**ბორჯომის სპორტსკოლამ გასული წლის მეორე ნახევრის შედეგების მიხედვით დაასახელა საუკეთესო მოსწავლე-სპორტსმენები:**

**ბარბარე შონია** - ჭადრაკი;
**ვალერი აიწურაძე, ნინო პაპიძე** - ძიუდო;
**სოფო კოზანაშვილი, თემურ და ალან გოზოზოვები** - ტრამპლინიდან ხტომა;
**გიორგი ბასილაშვილი** - მძლეოსნობა;
**ნიკოლოზ ხარაზიშვილი** - კრივი;
**ნიკოლოზ გველესიანი, ლუკა ტაბატაძე** - მკლავჭიდი;
**გიორგი ახვლედიანი, ვასილ აჩელაშვილი** - კარატე;
**ხატია აკოფოვი, გიორგი ხოჭოლავა** - კიკ-ბოქსინგი;
**ნიკოლოზ მელიქიძე** - რაგბი;
**ოთარ წულეისკირი, ოთარ ხვედელიძე** - სამთო-სათხილამურო სპორტი;
**საბა ხაჩიძე** - საციგაო სპორტი.

# ლიცენზია მოიპოვა



**ბაკურიანელი მოციგავე საბა ქუმარიტაშვილი პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებს**

**2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშების მოციგავეთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა საბა ქუმარიტაშვილმა. ლიცენზიის ოფიციალური დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო საციგაო სპორტის ფედერაციიდან უკვე მიიღო.**

**ზამთრის XXIV ოლიმპიური თამაშებს ჩინეთის დედაქალაქი პეკინი 4-20 თებერვალს უმასპინძლებს. ქართველი მოციგავე საბა ქუმარიტაშვილი კი ასპარეზობაში 5 თებერვლიდან ჩაერთვება.**

**საბა ქუმარიტაშვილი ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადაზე ტრაგიკულად გარდაცვლილი მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ნათესავია. მთელი სპორტული საქართველო საბას პეკინიდან წარმატებულ დაბრუნებას უსურვებს!**



# გოგი ჩაჩანიძის გამოსათხოვარი

## აქაც კარგი კაცი იყო...!

**ოთხმოცდაერთი წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი სამეგობროს და ქალაქის მოსიყვარულე, ერთგული და ურალატო, თხემით ტერფამდე ნაღდი ინტელიგენტი გოგი ჩაჩანიძე, რომელმაც მთელი ცხოვრება ქვეყნის სამსახურში კეთილსინდისიერად და მაღალი პასუხისმგებლობით იღვაწა, ხელმძღვანელებისა და ხელქვეითების უდიდესი სიყვარული დაიმსახურა, სიკეთით და სიყვარულით დააბიჯებდა მშობლიურ ქალაქში, იმკიდა ბორჯომელთა დიდ პატივისცემას.**

**ჩვენი უფროსი მეგობრის გარდაცვალებამ დიდი სევდა და მწუხარება მოგვიტანა, ყველას დაგვაკლდა, განსაკუთრებით მის შესანიშნავ მეუღლეს - ლალის, რომელმაც დიდი მზრუნველობა გამოიჩინა საყვარელი მეუღლის მიმართ. მათ სიყვარულით სავსე წლები ერთად გაატარეს. დღეს კი თვალცრემლიანი და გულდათუთქულია მის ცხედართან. გაოგნებულები არიან მისი შვილები და შვილიშვილები, სანათესაო და სამეზობლო, არავინ ელოდა ასე უეცრად მის ამქვეყნიდან წასვლას. შარშან შემოდგომაზე, მეგობრებმა საზეიმოდ აღვნიშნეთ გოგის დაბადების 80 წლისთავი, სიხარულით ადგილს ვერ პოულობდა. გულწრფელად უხაროდა საიუბილეო თარიღი, მოკრძალებით იღებდა მილოცვებს. გაბრწყინებული თვალებით შეხაროდა შვილების დიდ წარმატებებს. ამბობდა ამაგი დამიფასდაო.**

**გოგი ჩაჩანიძე სამეგობროს შეხვედრების შესანიშნავი ინიციატორი და თაოსანი იყო. მისმა გარდაცვალებამ ჩვენ ნამდვილად დაგვაობლა, კიდევ ერთი დიდებული მეგობრით შემცირდა ჩვენი რიგები.**

**არიან ადამიანები, რომელთა სიცოცხლე ცხოვრებას გვიადვილებენ და მათი გარდაცვალების შემდეგ სიკვდილს გვიიოლებენ. სწორედ ასეთი იყო ჩვენი მეგობარი გოგი ჩაჩანიძე, იქ დაგველოდება და მეგობრობაც გარძელდება.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა, ამინ!**

ერთგული მეგობრები: **ომარ აბრამაშვილი, სერგო გიორგაძე, ჯეირან გურგენიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ვალერიან ლომიძე**

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე